კონფიდენციალურ ფინანსურ ინფორმაციაზე წვდომის გზები ფართოვდება

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი, რომლითაც ფართოვდება იმ უწყებების წრე, რომლებსაც ფინანსურ საიდუმლოებაზე ხელი მიუწვდებათ სასამართლოს ნებართვის გარეშე. მთავრობა მისი ინიციატივის განხილვას დაჩქარებული წესით ითხოვს.

კანონის პროექტი, ინიციატორი

პროექტი: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ინიციატორი: საქართველოს მთავრობა

კანონპროექტის არსი

განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების შემუშავების მიზანია FATF[1] რეკომენდაციებთან შესაბამისობის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციების ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორება.

ცვლილებების თანახმად:

- გაიზრდება იმ უწყებების სია, რომლებსაც შეუძლიათ მოითხოვონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ფართოვდება იმ დანაშაულების სია, რომლებზედაც კონფიდენციალური ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება ვრცელდება.

დანაშაულების სიის გაფართოება, რომლებზედაც ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება გავრცელდება

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია გენერალურ პროკურორს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ან შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინოს კონფიდენციალური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგი დანაშაულების გამოძიების მიზნების მისაღწევად: • *უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)* • *უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება* • *ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა* • *ნარკოტიკული დანაშაულები*	ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელი იქნება უკვე **ყველა ტიპის დანაშაულების** გამოძიების მიზნებისათვის.

უწყებათა სიის გაფართოება, ვისთვისაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შეუძლია საეჭვო ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის გადაგზავნა

მოქმედი რედაქცია	შემოთავაზებული ცვლილება
ფინანსური მონიტორინგის სამსახური, დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, კონფიდენციალურ ფინანსურ ინფორმაციას უგზავნის შემდეგ საგამოძიებო უწყებებს: • *გენერალურ პროკურატურას* • *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს* • *შემოსავლების სამსახურს* • *შინაგან საქმეთა სამინისტროს*	ჩამონათვალს ემატება **ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.**

შეფასება

საგამოძიებო უწყებების მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის გაფართოება რისკებს შეიცავს. პროექტის ამ სახით მიღების შემთხვევაში, **ყველა ტიპის დანაშაულის გამოძიებისას შესაძლებელი იქნება საგამოძიებო უწყებებმა სასამართლოს ნებართვის გარეშე მოიპოვონ კონფიდენციალური ინფორმაცია.**[2]

ინიციატორი ცვლილებებს ასაბუთებს Moneyval-ის[3] შეფასების ანგარიშში ასახული 29-ე რეკომენდაციით, რომელიც ეხება ფინანსური დაზვერვის სამსახურის ფუნქციონირების ასპექტებს. კერძოდ განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „ქვეყანამ მიიღო რეკომენდაცია, გაზრდილიყო იმ დანაშაულების სიაც, რომლის შესახებაც საგამოძიებო უწყებებს შეუძლიათ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისაგან ინფორმაციის მოთხოვნა." თუმცა წარმოდგენილ რეკომენდაციაში, საუბარია არა ყველა ტიპის დანაშაულზე, არამედ ისეთი სახის დანაშაულზე, რომელიც ფულის გათეთრების პრედიკატული დანაშაული[4] შეიძლება იყოს.

კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებამ მართალია ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას შეიძლება შეუწყოს ხელი, თუმცა ამ ინფორმაციასთან სასამართლოს კონტროლის გარეშე წვდომა კავშირში უნდა იყოს დანაშაულის ტიპთან. მოცემული კანონი ეხება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის, აღკვეთისა და გამოძიების საკითხებს და ამდენად, უფლებამოსილებათა გაფართოება მხოლოდ ამ დანაშაულებთან დაკავშირებულ გამოძიებებზე შეიძლება ვრცელდებოდეს. ცვლილებების შედეგად კი, აღნიშნული მექანიზმი ყველა დანაშაულის გამოძიებაზე გავრცელდება, რაც **გაუმართლებლად ზრდის საგამოძიებო უწყებების უფლებამოსილებას, სასამართლო კონტროლის გვერდის ავლით მოიპოვონ პირთა კონფიდენციალური ინფორმაცია.**

---

1 ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მექანიზმების ეფექტურობისა და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი

2 კონფიდენციალური ინფორმაცია არის ინფორმაცია (დოკუმენტი), რომელიც შეიცავს პროფესიულ საიდუმლოს, კომერციულ საიდუმლოს ან/და პერსონალურ მონაცემებს.

3 ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (Moneyval).

4 „პრედიკატული დანაშაული" ნიშნავს დანაშაულს, რომლის შედეგადაც უკანონო შემოსავალი იქნა მიღებული და რომელიც შემდგომში შეიძლება გახდეს ფულის გათეთრების ობიექტი.

Sweden/შვედეთი
Sverige

პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით